



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 28/00

„18“ მარტი 2010

ქ. თბილისი

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯერენაშვილი

„18“ მარტი 2010 წელი

ეგზ. N2

ობიექტი: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10



საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური(კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ.2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ.3
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ.4
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.4
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.4
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.5
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.6
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.6
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.7
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.	გვ.8
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.8
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები	დანართი A
გამოყენებული კანონმდლობა და ნორმატიული აქტები	დანართი B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №41/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი პ. ინგოროყვას ქ. N7

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი);
აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სამინისტრო

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში - აპარატი) შეიქმნა საქართველოს გარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით.

აპარატის ძირითადი ამოცანებია:

- ფართო სპექტრის პირდაპირი კონტაქტებისა და კავშირების დამყარება და გაფართოება საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, საქართველოს გარგლებს გარეთ მოქმედ საქართველოსთან მეგობრობით ან საქართველოთი დაინტერესებულ ქართველოლოგიურ, სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივ ცენტრებთან, ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან, ფონდებთან, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

- საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა შორის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა;

- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, მათი ორგანიზაციების, საქართველოთი დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ საინფორმაციო ანალიტიკური საკონტაქტო კომპიუტერული ბანკის შექმნა;

- ხელშეწყობა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და საზღვარგარეთ მოქმედი შესაბამისი ორგანიზაციებისათვის ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გაცნობა-შესწავლის საქმეში;
- თავისი კომპეტენციის შესაბამისად საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, სიძველეების, განძების, ხელნაწერების, არქივებისა და სხვა ისტორიული კულტურული ფასეულობების მოძიება და აღნუსხვა.

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2009 წლის ბიუჯეტის ანალიზით მნიშვნელოვანი დარღვევა – ნაკლოვანებები არ გამოვლენილა.

II. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის №139 დადგენილებით 2009 წლისათვის სახელმწიფო მინისტრის აპარატის კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვრა შესაბამისად 23 ერთეულით და 750.0 ათასი ლარით. 2008 წლის 26 ნოემბერს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით მოითხოვა კადრების გაზრდა 9 ერთეულით. ამის მიზეზი იყო ხელშეკრულებით მომუშავე თანამშრომლების შტატში აყვანა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილის შტატის დამატება. ამან შესაბამისად გამოიწვია გამოყოფილი ზღვრული ასიგნებების ზრდაც. გარდა ამისა სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის გამოყოფილ ასიგნებებში გათვალისწინებული არ იყო საინგილოში, კერძოდ კახში მცხოვრები ქართველებისათვის, ქართული კულტურის ცენტრისათვის დახმარების პროექტი. ამიტომ განაცხადი წარდგენილი იქნა 225.0 ათასი ლარით მეტ ასიგნებაზე.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) სახელმწიფო მინისტრის აპარატს განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 950.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კადრების რიცხოვნობა 32 ერთეულით. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №27 დადგენილების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები და სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 30 ერთეულით, ხოლო ასიგნებებს ცვლილებები არ განუცდია.

	18.06.2008 № 139 დადგენილება	2009 წლის სახ. ბიუჯეტის შესახებ კანონი	ცვლილება 18.02.2009 № 27 დადგენილებით
კადრების რიცხოვნობა	23	32*	30
ასიგნება	750	950	950

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2009 წლის 15 ივლისს „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის №1410-რს კანონის შესაბამისად განახორციელა ცვლილებები, კერძოდ საშტატო რიცხოვნობის 2 ერთეულით შემცირების გამო შრომის

ანაზღაურების ასიგნება შემცირდა 40.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები 4.0 ათასი ლარით.

ბ) დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

2009 წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამოყოფილი ასიგნებები და გაწეული ხარჯები:

/ათას ლარში/

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის
2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული	950.0	906.0	-	-	-	-	-
ხარჯები	905.0	862.5	862.5	862.5	862.5	876.1	13.6
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	511.2	481.2	481.2	481.2	481.2	481.2	0
თანამდებობრივი სარგო		427.2	427.2	427.2	427.2	427.2	0
პრემია		53.9	53.9	53.9	53.9	53.9	0
საქონელი და მომსახურება	393.8	381.3	381.3	381.3	381.3	394.9	13.6
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		20.8	20.8	20.8	20.8	20.8	0
მივლინებები		63.2	63.2	63.2	63.2	63.9	0.7
ოფისის ხარჯები		92.3	92.3	92.3	92.3	96.8	4.5
წარმომადგენლობითი ხარჯები		77.7	77.7	77.7	77.7	77.7	0
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები		72.2	72.2	72.2	72.2	80.7	8.5
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		54.9	54.9	54.9	54.9	54.8	-0.1
არაფინანსური აქტივები	45.0	43.5	43.5	43.5	43.5	-	-
მანქანა დანადგარები		9.9	9.9	9.9	9.9	-	-
ახვა ძირითადი აქტივები		33.6	33.6	33.6	33.6	-	-

* - „საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტიურსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 13.6 ათას ლარს კერძოდ:

1. მივლინებების მუხლში სხვაობა – 0.7 ათასი ლარი, გამოწვეულია ანგარიშვალდებული პირის მიმართ სამივლინებო თანხების დავალიანებით;
2. ოფისის ხარჯი – 4.5 ათასი ლარის სხვაობა, გამოწვეულია ეკონომიკის სამინისტროდან უსასყიდლოდ მიღებული ასტრა- ბარათებით;

3. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯის – 8.5 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია ეკონომიკის სამინისტროდან უსასყიდლოდ მიღებული საწვავის ტალონებით;
4. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში სხვაობა – -0.1 ათასი ლარი, გამოწვეულია ვებ- გვერდის მომსახურეობის დავალიანებით.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პერსონალსა და მის მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები:

ხარჯი	ერთეული	2009 წლის ხარჯი (ათას ლარებში)	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე (ათას ლარებში)
თანამდებობრივი სარგო	30	427.2	1.20
პრემია	30	53.9	0.15
საკომუნიკაციო ხარჯი	30	41.9	0.12
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	5	57.2	0.95
ტექმომსახურება	5	23.6	0.40

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:

2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ა) არაფინანსური აქტივების ცვლილება;

დღიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს არაფინანსური ხარჯების მუხლით დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით გამოეყო დაფინანსება 43.5 ათასი ლარის ოდენობით, რაც მთლიანად იქნა გახარჯული, კერძოდ „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით გაიხარჯა 9.8 ათასი ლარი (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ინვენტარი და ავტოტრანსპორტის სათადარიგო ნაწილები), სხვა ძირითადი აქტივების მუხლით გაიხარჯა 33.6 ათასი ლარი, მათ შორის ვებ-პორტალის მომზადებისათვის „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრს“ გადაერიცხა 23.0 ათასი ლარი, შ.პ.ს. „საგამომცემლო კომპანია გაენათს“ ქართული ენის თვითმასწავლებლების ელექტრონული ვერსიის დასამზადებლად (ვებ-პორტალის განსათავსებლად) – 8.1 ათასი ლარი, ხოლო ს.ს.ი.პ. - „არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტს“ ლაზური ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის დასამზადებლად გადაერიცხა 2.5 ათასი ლარი.

ბ) დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

2009 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში მოხდა ცვლილება, როგორც დებიტორულ, ასევე კრედიტორულ დავალიანებებში, კერძოდ:

/ათას ლარში/

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ცვლილება საანგარიშო პერიოდში	
			ზრდა	შემცირება
დებიტორული დავალიანება	0.7	0.0	-	-
ავ მივლინება			-	-0.7
კრედიტორული დავალიანება	2.6	0.9	0.9	2.6
შპს "ყაზტრანსგაზი"	0.6		-	-0.6
შპს. „კავკასუს ონლაინი“	0.3			-0.3
შპს „დიდი დილომი“ (ავტოტრანსპორტის რემონტი)	0.4		-	-0.4
შპს „ლუნეტი“ (ვებ გვერდის მომსახურება)	0.6		-	-0.6
ს.ს. „თელასი“	0.3	0.3	0.3	-0.3
ს/ს „საქ-ოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“	0.4	-	-	-0.4
სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი	-	0.5	0.5	-
სს. „ინფოჯორჯია -21“		0.1	0.1	

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

თამაზ გურგენიძე

ხელმოწერა/თარიღი

თ. გურგენიძე 18.05.10წ.

აუდიტორი

გიორგი მშვილდაძე

გიორგი მშვილდაძე 18.05.10წ.

დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები

- სახელმწიფო მინისტრი - იულონ გაგოშიძე - 21.12.09 - მდე
- სახელმწიფო მინისტრი - მირზა დავითაია - 21.12.09 - დან
- ბუღალტერი - მარიამ ბალიაშვილი.

დანართი B

გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივნისის N437 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 თებერვლის N129 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესი“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 19 სექტემბრის N1064 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.